

უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინსტრუქციები

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს უსაფრთხოების მნიშვნელოვან ინსტრუქციებს. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ და დაიცვათ ყველა მითითება მოწყობილობის მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს. ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციას UPS-ის შეფუთვიდან ამოღებამდე, დამონტაჟებამდე ან გამოყენებამდე.

ყურადღება! ხანძრის ან ელექტროშოკის რისკის თავიდან ასაცილებლად, დაამონტაჟეთ მოწყობილობა შენობაში, კონტროლირებადი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში, სადაც არ არის გამტარი დამაბინძურებლები. (იხილეთ სპეციფიკაციები ტემპერატურისა და ტენიანობის დასაშვები დიაპაზონისთვის.)

ყურადღება! UPS-ის გადახურების რისკის შესამცირებლად, არ დაახშოთ მისი სავენტილაციო ხვრელები. მოერიდეთ მოწყობილობაზე მზის პირდაპირი სხივების მოხვედრას ან მის დამონტაჟებას სითბოს გამომყოფ მოწყობილობებთან (მაგალითად, გამათბობლებთან ან ღუმელებთან) ახლოს.

ყურადღება! ნუ მიაერთებთ UPS-თან მოწყობილობებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული კომპიუტერულ ტექნიკასთან, როგორცაა: სამედიცინო აპარატურა, სიცოცხლის შემანარჩუნებელი სისტემები, მიკროტალღური ღუმელები ან მტვერსასრუტები.

ყურადღება! ნუ შეაერთებთ UPS-ის კვების კაბელს მისსავე გამოსასვლელ ბუდეში (output).

ყურადღება! არ დაუშვათ UPS-ში სითხის ან უცხო სხეულების მოხვედრა. ნუ განათავსებთ სასმელებს ან სითხის შემცველ სხვა ჭურჭელს მოწყობილობაზე ან მის სიახლოვეს.

ყურადღება! საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, დააჭირეთ ლილაკს OFF და გამორთეთ კვების კაბელი ცვლადი დენის წყაროდან, რათა სრულად გათიშოთ UPS.

ყურადღება! ნუ მიაერთებთ UPS-თან დამაგრძელებელ ბლოკს (power strip) ან ძაბვის დამცავს (surge suppressor).

ყურადღება! გაწმენდამდე გამორთეთ UPS ქსელიდან. არ გამოიყენოთ თხევადი ან სპრეის ტიპის სარეცხი საშუალებები.

ყურადღება! ბატარეების მომსახურება უნდა განახორციელოს ან ზედამხედველობა გაუწიოს მხოლოდ ბატარეებთან მუშაობის მცოდნე პერსონალმა, უსაფრთხოების წესების დაცვით. მოარიდეთ არაკომპეტენტური პირები ბატარეებს.

ყურადღება! UPS-ის შიგნით სარემონტო ან ტექნიკური სამუშაოების ჩატარებისას, ბატარეის კვება უნდა გაითიშოს პლუს (+) და მინუს (-) პოლუსების სწრაფი შემაერთებლებიდან.

ყურადღება! შიდა ბატარეის ძაბვა არის 12Vdc. ბატარეა არის ჰერმეტიული, ტყვია-მჟავური, ნ-ელემენტიანი.

ყურადღება! ბატარეების შეცვლისას გამოიყენეთ იმავე რაოდენობისა და ტიპის ბატარეები.

ყურადღება! არ ჩააგდოთ ბატარეები ცეცხლში, რადგან ისინი შეიძლება აფეთქდეს. არ გახსნათ და არ დააზიანოთ ბატარეა/ბატარეები. გამოთავისუფლებული ელექტროლიტი საზიანოა კანისა და თვალისთვის.